

დაუყოვნებლივ გამოქვეყნებისთვის
18 იანვარი, 2017

საკონტაქტო პირი: დიანა ჩაჩუა
პროგრამისა და კომუნიკაციების
უფროსი ოფიცერი
Tel: +995 577 779639
E-mail: dchachua@ndi.org

NDI-ის კვლევა: მოსახლეობის შეფასებით საპარლამენტო არჩევნებმა მშვიდად და მოწესრიგებულად ჩაიარა, თუმცა მოქალაქეებს ახალი პარლამენტისადმი არაერთგვაროვანი მოლოდინები გააჩნიათ

თბილისი. ეროვნულ–დემოკრატიული ინსტიტუტისა (NDI) და მისი პარტნიორი ორგანიზაცია CRRC–საქართველოს მიერ წარმოდგენილი საზოგადოებრივი აზრის უახლესი კვლევის შედეგების თანახმად, მოსახლეობის უმეტესობას ეჭვი არ ეპარება საარჩევნო პროცესების სანდოობაში და აცხადებს, რომ არჩევნების დღემ მშვიდად და მოწესრიგებულად ჩაიარა. ამომრჩეველთა უმრავლესობამ (92 პროცენტი) იცოდა სად და როგორ მიეცა ხმა და განაცხადა, რომ საარჩევნო უბანზე სიტუაცია იყო უსაფრთხო (96 პროცენტი), კარგად ორგანიზებული (96 პროცენტი) და არჩევნებზე პასუხისმგებელი პირები კარგად იყვნენ მომზადებულნი (92 პროცენტი).

2012 წლისა და 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შედარებისას, მოსახლეობის უმეტესობა მიიჩნევს, რომ ორივე არჩევნებზე ძალადობის და ზეწოლის დონე მცირე იყო ან საერთოდ არ ჰქონია ადგილი. თუმცა ქართული ოცნების მხარდამჭერები 2012 წლის არჩევნებს უფრო ცუდად აფასებენ, ხოლო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერები აცხადებენ, რომ 2016 წელს უფრო მეტი ძალადობა და ზეწოლა იყო ვიდრე 2012 წლის არჩევნების პერიოდში.

მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით, პირველი ტურის აქტივობა 51.6 პროცენტი იყო, გამოკითხვისას რესპონდენტების 74 პროცენტმა განაცხადა, რომ ხმა მისცა არჩევნებზე. თუმცა ეს რიცხვი გაცილებით დაბალია (62 პროცენტი) 18-35 წლის ასაკის მოსახლეობაში, ვიდრე 56+ მოქალაქეებში (86 პროცენტი). კითხვაზე, თუ რომელი პარტია დგას თქვენს შეხეულებებთან ყველაზე ახლოს, მოსახლეობის 40 პროცენტმა - ქართული ოცნება, 10 პროცენტმა - ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, 3-3 პროცენტმა კი პატრიოტთა ალიანსი და თავისუფალი დემოკრატები დაასახელა. ეს მონაცემები განსხვავდება არჩევნების შედეგებისგან, რომლის მიხედვითაც ქართულმა ოცნებამ საარჩევნო უფლების მქონე მოსახლეობის ხმების 24 პროცენტი მიიღო, ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ კი 14 პროცენტი.

კითხვაზე თუ რატომ წავიდნენ არჩევნებზე, მოსახლეობის 68 პროცენტმა განაცხადა, რომ ეს მათი “მოქალაქეობრივი ვალი” იყო. მაგალითად, ქართული ოცნების მხარდამჭერების 11 პროცენტი აცხადებს, რომ არჩევნებზე პარტიის, ხოლო 8 პროცენტი კი მთავრობის მხარდასაჭერად წავიდა. ეს მაშინ როდესაც ამ პარტიის მხარდამჭერების უმეტესობამ (71 პროცენტი) არჩევნებში მონაწილეობა მოქალაქეობრივი ვალის მოხდის მიზნით მიიღო. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ არჩევნებიდან მოკლე ხანში მოქალაქეების მესამედმა არასწორად დაასახელა მისი მაჟორიტარის სახელი, რაც ამომრჩევლებსა და მაჟორიტარ კანდიდატებს შორის სუსტ ურთიერთკავშირზე მიუთითებს.

“აღსანიშნავია, რომ სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, სადაც არჩევნებზე წასვლის მთავარი მოტივი მთავრობის მხარდაჭერა, შეცვლა ან პოლიტიკური პარტიისა თუ კონკრეტული იდეოლოგიის მხარდაჭერაა, საქართველოში მოსახლეობისთვის არჩევნებზე წასვლის მთავარ მოტივაციას სამოქალაქო ვალდებულება უფრო წარმოადგენს, ვიდრე მისთვის სასურველი პოლიტიკური ძალის მხარდაჭერა,” - განაცხადა ლორა თორნტონმა, NDI საქართველოს ოფისის დირექტორმა.

ახალი პარლამენტისადმი მოლოდინებს რაც შეეხება, მოსახლეობის ნახევარი მიიჩნევს, რომ პარლამენტარები მხოლოდ საკუთარ ინტერესებს დაიცავენ, 65 პროცენტი კი ფიქრობს, რომ ისინი გააკეთებენ იმას, რასაც პარტია დაავალებს. მოლოდინები მნიშვნელოვნად განსხვავდება პარტიის მხარდაჭერის მიხედვით, ასე მაგალითად: ქართული ოცნების მხარდამჭერების 72 პროცენტი აცხადებს, რომ პარლამენტი მათ ინტერესებს დაიცავს, მაშინ როცა ამ მოსაზრებას სხვა პარტიის მხარდამჭერებისა და უპარტიო მოქალაქეების (ისინი, ვინც არ ასახელებენ თუ რომელი პარტია არის მათ შეხედულებებთან ყველაზე ახლოს) 40 პროცენტზე ნაკლები ეთანხმება. ქართული ოცნების მხარდამჭერების გამოკლებით, მოსახლეობის მცირე ნაწილი (30 პროცენტზე ნაკლები) ფიქრობს, რომ სურვილის შემთხვევაში პარლამენტართან შეხვედრის დანიშვნას ადვილად შეძლებდა, მოქალაქეების უმეტესობა კი ამბობს, რომ პარლამენტის შენობაში შესვლა რთულია.

“მართალია, ქართული ოცნების მხარდამჭერები მტკიცედ უჭერენ მხარს ახალ პარლამენტს, მაგრამ უმნიშვნელოვანესია, რომ საკანონმდებლო ორგანო და მისი წევრები საქართველოს ყველა მოქალაქეს წარმოადგენდნენ, განურჩევლად იმისა, თუ რამდენად კრიტიკული დამოკიდებულება აქვს ამ მოქალაქეს პარლამენტისადმი,” - განაცხადა თორნტონმა.

NDI იკვლევს საზოგადოებრივ აზრს, რათა დაეხმაროს დაინტერესებულ მხარეებს გაიგონ და გადაჭრან მოქალაქეებისთვის პრობლემატური საკითხები ზუსტ, მიუკერძოებელ და სტატისტიკურად სწორ მონაცემებზე დაყრდნობით. კვლევის მიზანია ხელი შეუწყოს ისეთი პოლიტიკისა და მმართველობის ჩამოყალიბებას, რომელიც უფრო მეტად იქნება მორგებული მოსახლეობის საჭიროებებზე. პოლიტიკოსები მიიჩნევენ, რომ კვლევებიდან მიღებული ინფორმაცია ეხმარება მათ საქმიანობას და გამოთქვამენ სურვილს, კვლავაც გაგრძელდეს მსგავსი გამოკითხვები. აღნიშნული გამოკითხვა 2016 წლის 4 ნოემბერი-4 დეკემბრის პერიოდში, საქართველოს მასშტაბით 3,141 პირისპირ ინტერვიუს წარმომადგენლობითი შერჩევის საფუძველზე, ქვეყნის ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულენოვან მოსახლეობას შორის

ჩატარდა (ოკუპირებული ტერიტორიების გამოკლებით). კვლევაში საშუალო ცდომილების ზღვარი არის +/- 1,8%.

NDI-ის კვლევებს აფინანსებს შვედეთის საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების სააგენტო (Sida) და ატარებს CRRC-საქართველო.

-დასასრული-

NDI არის არამომგებიანი ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს დემოკრატიებთან მსოფლიოს ყველა რეგიონში, რათა გააძლიეროს პოლიტიკური და სამოქალაქო ორგანიზაციები, ხელი შეუწყოს არჩევნების სამართლიანად ჩატარებას, მოქალაქეების აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მთავრობის ანგარიშვალდებულებას. დამატებითი ინფორმაცია: www.ndi.org

CRRC-საქართველო არის არასამთავრობო, არაკომერციული კვლევითი ცენტრი, რომელიც აგროვებს, აანალიზებს და აქვეყნებს მონაცემებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალური პროცესების შესახებ. ორგანიზაციის მიზანია საზოგადოებრივი მეცნიერებების კვლევებისა და საჯარო პოლიტიკის ანალიზის განვითარების ხელშეწყობა. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.crrc.ge